# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— პარასკევი, 13 ოქტომბერი 1900 წ. № 1266

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

**წარსული წლების ჟურნალი**

**მოამბე**

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ.წ.—შვიდ შვიდ მან., 1896, 1897 და 189? წ.წ.—ხუთ ხუთ მან., ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის-მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.—ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნალი „მოამბის“ ფოსტის ხარჯად 60 კაპეიკი უნდა გამოგზავნონ.—ჟურნალ

**მოამბის**

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію грузинск. журнала „Моамбе“.

**ტფილისის კერძო**

**სამკურნალო**

**მკურნალის**

**მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

**დილით:**

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მელიძე—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—2 საათამდე.

ა. ნ. მატინოვი—თვალისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

მ. გ. ბეზირგანოვი—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათამდე.

ვ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

ი. ხ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: გუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(წლ.) მიხეილ გედევანიშვილი.

ელექტრონით

მოწყობილი

**მსწრაფლად მბეჭდავი**

**სტამბა**

წიგნების გამომცემელ

ქართველთა ამხანაგობისა

იღებს ყოველგვარ

**სასტამბო საქმეებს**

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩ. მარტიროსოვის სახლში.

[illegible]

**დაიბეჭდა და იყიდება**, წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის **კიოსკში** და წ.-კითხ. გამ. საზოგ. მაღაზიაში **შ. არაგვისპირელის**

**პირველი წიგნი**

**ფასი ათი შაური**

პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნი შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество. გადასაგზავნი ხარჯი არ გადახდებათ მათ, ვინც ქართ. ამხ. კიოსკიდან დაიბარებს და წიგნის ღირებულ ფასს (ათ შაურს) პირველადვე გამოგზავნიან. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**10 ოქტომბერი**

**კანტონი.** მეკობრეებმა გაძარცვეს ნავი, რომელშიაც ასამდე მოგზაური იხდა, კანტონიდან 10 მილის მანძილზე. შიშობენ, რომ ავაზაკობა უფრო გაძლიერდება.

**ფილადელფია.** რუსეთის სამხედრო გემი სულ ახალის კონსტრუქციისა დღეს ჩაუშვეს წყალში.

**ნიუ-იორკი.** პეკინიდან 8 ოქტომბრის დეპეშა იტყობინება, რომ ლიხუნ-ჩანგისა და სახელმწიფოების წარმომადგენლების კონფერენციის დღე ჯერ დანიშნული არ არის. ზოგიერთ ელჩებს საჭირო ინსტრუქციები არ მიუღიათ, ორნი პეკინში არ არიან და ერთიც ავად არის.

**რომი.** იტალიის მეფემ მიიღო ჩინეთის იმპერატორის დეპეშა, რომელშიაც უკანასკნელი თხოულობს ხელი შეუწყოს ზავის ჩამოგდების საქმეს.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა სამინისტროს განზრახვა აქვს შეუერთდეს ინგლის-გერმანიის შეთანხმებას მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ, რადგანაც საქმე დიდ მოფიქრებას თხოულობს. განსაკუთრებით სასურველია გარკვეულ იქმნას შეთანხმების მესამე პუნკტი. მიუხედავად ამისა, სრული იმედი აქვთ, რომ პირობითი შეთანხმება მოხდება. კონჯერი ყოველთვის ატყობინებს სამინისტროს წინადადებათ, რომლებსაც სხვა და სხვა ელჩები წარმოადგენენ ხოლმე თათბირის დროს. აქამდე საქმეთა მიმდინარეობა არ შეცვლილა.

**ლონდონი.** „პეტერბურგის ვედომოსტების“ შენიშვნის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ ინგლის-გერმანიის შეთანხმება რუსეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული, „რეიტერის სააგენტო“ ამბობს, რომ ეს აზრი ჭეშმარიტია და შეთანხმება არ ეხება მანჯურიის რკინის გზების კონცესსიებს. შეთანხმებას მიზნად აქვს დაიცვას ჩინეთის ტერიტორია და არ შეეხოს რკინის გზების კონცესსიებს, რომლებსაც სახელმწიფოები მიიღებენ ჩინეთის იმპერიაში.

**მოსკოვი.** მოსკოვის მაზრის საერობო კრებამ დაადგინა დაარსოს მოსკოვის მაზრის სადგილ-მამულო ბანკი.

**ტიანძინი.** გენერალი კემპბელი 4 ოქტომბერს მოვიდა თავის რაზმით ბაფანში. უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში ბაფანში იმყოფებოდა 1500 ჩინელი ჯარის კაცი, რომელთაგან 1000 სამხრეთისაკენ წავიდა ინგლისელების მოსვლისას. ერთი ჩინელი გენერალი მძიმედ დაიჭრა 30 სექტემბერს ბენჩაოუში მოკრივეებთან შეტაკების დროს. ნახეს პრინც ტუანის პროკლამაცია, სადაც ნაბრძანებია ამოჟლეტილ იქმნას პაოტინფუსაკენ მიმავალი ექსპედიცია; ამასთანავე ტუანი ჰპირდება ჩინეთის მთავრობის სახელით იარაღის დარიგებას. კემპბელი წავიდა პაოტინფუსაკენ; დანარჩენი ნაწილი ტიანძინიდან პაოტინფუსაკენ წასულ ექსპედიციისა 10 ოქტომბერს შეუერთდა გეზლის რაზმს. ჰფიქრობენ, რომ მთელი ექსპედიცია მოვიდა პაოტინფუში 8 ოქტომბერს.

**სიმლა.** ბრიტანელი პორუჩიკი და 45 შეიხი გუშინ მოჰკლეს ჯანდოლთან მახსუმა და ვაზირისებმა, რომელნიც საავაზაკოდ დადიოდნენ.

**პარიზი.** დელკასსეს მოუვიდა პიშონისაგან ორი დეპეშა, 7 ოქტომბრის თარიღით; დეპეშები სამსახურს ეხებიან და მათში ნახსენები არ არის პიშონის ავადმყოფობა.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

« გაზ. «კელნიშე ცაიტუნგ»-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი ჩინელთა შესახებ:

ჩინელებს საშინლად სძულთ ფიზიკური ვარჯიშობა; მათის აზრით, კარგად აღზრდილი კაცი უნდა მოძრაობდეს მშვიდად, დინჯად და თავის

ღირსების დაგვარად, ამიტომ მათ ჭკუაში არ მოსდით არც ევროპიული სპორტი, არც გიმნასტიური ვარჯიშობა. კარგად აღზრდილი ჩინელი თავის ქნევით უყურებს უცხოელების ახალ გაზდობის «ლაუნ-ტენის»-ის თამაშობას. «რისთვის წვალობენ ასე,— ჰფიქრობს ჩინელი.—დარბიან, დახტიან, გაწითლებულან, როგორც მოხარშული კიბო... არა სჯობდა, ესწავლებინათ ეს უცნაური თამაშობა მუშებისათვის და თვითონ მხოლოდ ეყურებინათ მათთვის.

თუ ჩინელი ახალგაზდა ვარჯიშობს ცხენზე ჯდომაში, მშვილდ-ისრის სროლაში, ანუ სიმძიმის აწევაში, იცოდეთ მომავალი კანდიდატია სამხედრო მანდარინის თანამდებობაზე. ეს ბრწყინვალე მომავალი ძალა-უნებურად აბედვინებს მას ამნაირ ვარჯიშობას, რომელიც ასე მცირედ შეეფერებიან ჩინელების მშვიდ ხასიათს.

როცა ჩინელს ეუბნებიან, სპორტი და ყოველი ფიზიკური ვარჯიშობა ჰმატებენ კაცს ღონეს, ხელს უწყობენ სისხლის წესიერ დენას და, საზოგადოდ, ძალიან სასარგებლონი არიან ჯანმრთელობისათვის, ჩინელი ცალი ყურით ისმენს ამას და რჩება ისევ განსაკუთრებით აზრისა: «იმას რა სჯობიან, ჰფიქრობს ის, კაცმა ნელის ნაბიჯით გაიაროს ქუჩაზე, შედგეს მაღაზიის ფანჯრებთან, უყუროს სხვა-და-სხვა სანახავებს; აი ეს, მართლა რომ, სასიამოვნოც არის და ნამდვილადაც სასარგებლო ჯანმრთელობისათვის, სანამ ნაქები ევროპიული სპორტი».

ამის მაგიერ, ჩინეთის ქალაქების ქუჩებში ყოველთვის შეჰხვდებით უსაქმოდ მოხეტიალე მდიდარ და ხან ღარიბ ჩინელებსაც. რომელიმე ღვთაების დღესასწაულში აუარებელი ბრბო გრძელ ნაწნავიან ყვითელ სახიანი კაცებისა დარბაისლურად და თავ-დაჭერით დასეირნობენ განათებულ ქუჩებში და პირ-დაღებული შესცქერიან ტრანსპარანტს, რომელზედაც დახატულია სადღესასწაულო ღვთაება და ადტაცებით ისმენენ ეროვნულ მუზიკას, რომლისაგან ევროპიელს ყურები ასტკივდებოდა და ნერვები მოეშლებოდა. ბრბო ყველგან ბრბოდ რჩება, ამისათვის ჩინეთის ბრბოშიაც გაიგონებთ ხმა-მაღლა ლაპარაკს, ყვირილს, ღრიალს და სხვა; მაგრამ საზოგადოდ, უნდა ჩინელების სასახელოდ სრული სიმართლე აღვიაროთ, რომ ისინი ბრბოშიაც გაცილებით უფრო ზრდილობიანათ და თავ-დაჭერით იქცევიან, სანამ ევროპიელნი ან ამერიკელნი.

1893 წ., შანჰაის ღია ბოლაზად გამოცხადების ნახევარ-საუკუნის იუბილეის დღესასწაულის გამო, მოგროვდა რამდენიმე ასი-ათასი ჩინელი კაცი. ამათგან არც ერთს არ მოუხდენია არავითარი ჩხუბი, და პოლიცია ოდნავადაც არ შეწუხებულა ჩინელების გამო. ევროპაში კი მაგარი სასმელების მოხმარებით, უეჭველია, სულ სხვა ხასიათი ექმნებოდა ამოდენა ხალხის ყრილობას.

ჩინელების სახლების მორთულობა უმეტესს შემთხვევაში საკმაოდ ღარიბია, მაგრამ ზოგიერთი ნივთები კი განსაცვიფრებლად შნოიანნი და ხელოვნურად აღსრულებულნი არიან. ოთახების დამამშვენებელს საგანს შეადგენენ ფარნები, რომლების გაკეთებაშიაც ჩინელებს ცალი არა ჰყავთ. მათ ამზადებენ ქაღალდისა, აბრეშუმისა, ნაირ-ნაირ ფარჩეულობისა, შუშისა, რქისა და ბამბუკისაგან და მათ აძლევენ ათას ნაირ ფორმას. ფანრის ფასი დამოკიდებულია მისს სიდიდეზედ და აგრეთვე გაკეთების ღირსებაზედ. პატარა ქაღალდის ფანრები ღირს რამდენიმე კაპეიკი, მაგრამ არის უშველებელი სიდიდის ამოჭრილი ფანრებიც, რომლებსაც 5 ჯერ მეტრი განი აქვთ; ესენი ჰფასობენ რამდენიმე ას დოლარად. ჩინელებს ნამეტნავად უყვართ მრგვალი ან ბევრ კუთხიანი ფანრები წითელი ქაღალდისა; მათზედ ამოჭრილია ჩინური ასოები, რომლებიც ჰნიშნავენ ბედნიერებისა და დღეგრძელობის სურვილს: ზოგიერთ ფანრებს უკეთებენ სხვა-და-სხვა ცხოველთა სახეს: ცხენებისა, ვეშაპებისა, მამლებისა, თევზებისა, მითიურ მხეცთა და ფრინველებისა. თუ სიდიდის გამო ამისთანა ფანრებს ვერ ატარებენ გრძელი ჯოხის ბოლოზედ, მაშინ მათ უკეთებენ საგორავ თვლებს და ისე დააქვთ ქუჩებში.

ჩინეთის სამხრეთ-ნაწილის ზღვის პირებში ყოველ წელს გაზაფხულობით იმართება რელიგიოზური პროცესიები წყალთა ღმერთების შესავედრებლად. წყლის უმთავრესს ღმერთს ჰგავს ვეშაპის სახით, რომელიც გაკეთებულია ბამბუკისაგან, დაფარებული ჭრელი ქსოვილით, ზემოდან და შიგნიდან განათებულია დიდ ძალის სანთლებით, მძიმედ გაატარებენ ზღვის ნაპირას. საკაცე, რომელზედაც ღმერთია დასვენებული, გაკეთებულია მთელი რიგი გარდი-გარდმო გადებულ ხარიხებისაგან, რომლებიც გამაგრებული არიან ერთ დიდ, სიგრძეზედ გადებულ ხარიხაზედ. ყველა ხარიხებზე ჰკიდია სხვა-და-სხვა ფეროვანი ფარნები, რომლებიც მძიმედ ირხევიან და თითქო მუშების სიარულს აყოლებენ თავის რხევას. ვეშაპის წინ მიაქვთ საკაცეებთანავე ყოველნაირი საშინელებანი. კაცებს, რომლებიც თან მისდევენ ამ პროცესიას, ხელში უჭირავთ და ჯოხებზე უკიდიათ ასი-ათასობით ფეროვანი ფარნები. ბნელ ღამეში ამნაირი პროცესიები წარმოადგენენ მართლა რომ მომხიბლავ სანახავს და ახდენენ წარმოუთქმელ შთაბეჭდილებას ცრუ-მორწმუნე ხალხზე.

მფრინავ გველებსაც საუცხოოდ აკეთებენ ჩინელები. ევროპაში ისინი შეადგენენ ბავშვების გასართობს, აქ კი მათ აფრენენ ხანში შესული დარბაისელი ჩინელები.

გველის სხეულს აკეთებენ უმეტესად ბამბუკისაგან, რომელიც ძალიან სუბუქი და მოქნილია. მასზე ახვევენ ქაღალდს ანუ ფეროვან აბრეშუმს და აძლევენ სხვა-და-სხვა საკვირველ სახეს.

მაგრამ ვერსად ვერ შეჰხვდებით გველს, გაზეთის ქაღალდში გახვეულს: ჩინელები ძალიან დიდ პატივს სცემენ სტამბის ნიშნებს და არასოდეს არ მოიხმარებენ გასართობად ისეთ ქაღალდს, რომელზედაც დაბეჭდილი ან დახატულია რამე ასო.

ყველაზე ხშირად გველებს უკეთებენ ვეშაპების, ანუ მტაცებელ ფრინველების სახეს; ამ სახეების გაკეთებაში ჩინელებმა მიაღწიეს ისეთ სრულ ხელოვნებას, რომ ხამი ევროპიელები ხშირად სცდებიან, გველი ცოცხალი ფრინველი ჰგონიათ და ჰკვირობენ მათ საკვირველ ფრენას.

ზოგიერთ გველებს უმატებენ გამართულობას, რომლის შემწეობითაც ფრინვის დროს ჰაერი იღებს ხმას, რომელიც ემგზავსება ბზუილს, ანუ ზარის წკრიალს.

მეცხრე თვის მეცხრე დღეს მთლად ანდომებენ გველთა აშვებას, მაგრამ მაშინ ამ გართობას აქვს რელიგიოზური ხასიათი. ჩინეთში არსებობს გადმოცემა, რომელიც ხსნის ამ რელიგიოზურ დღესასწაულს. ძველ დროებში ვინმე ბრძენს უწინასწარმეტყველნია ერთი ჩინელისათვის, რომ მეცხრე თვის მეცხრე დღეს მისს სახლს შეემთხვევა დიდი უბედურება. შეშინებული ჩინელი შავ ბედითი დღის წინა საღამოს თავისი ოჯახობით მთაში გაიქცა და როცა ერთი დღის შემდეგ დაბრუნდა, დაინახა, რომ მისი შინაური საქონელი სულ გაწყვეტილიყო რაღაცა უცნაური მიზეზისაგან. მას შემდეგ ზოგიერთს პროვინციებში ჩინელები თავისის სახლობებით მიდიან იმ უბედურ დღეს სახლიდან შორს სადმე და მთელ დღეს აფრენენ გველებს, რომელთაც, მათის აზრით, სასწაულთ-მომქმედი ძალა აქვთ და თან მიაქვთ ჰაერში ყველა ვაება და უბედურება ადამიანისა. ამ დღეს ჩინელები აფრენენ თუ არა გველებს, სჭრიან თოკსა, რომლითაც დაბმულია გველი და ყურადღებით თვალს ადევნებენ სასწაულთ-მომქმედ გველის ფრენას. თუ ის თვალიდან მოჰშორდება, პატრონსაც ცათა ფრენა ეგიდება სიხარულისაგან, რადგანაც იგი დარწმუნებულია, რომ მთელი წლით მასა და მისს სახლობასაც ახლო აღარ მიეკარება არავითარი უბედურება. თუ გველი დედამიწაზედ დაეშვება, ესეც ძალიან კარგი ნიშანია; ყველანი კმაყოფილნი არიან, რადგანაც გველთან ერთად დედა-მიწაზედ ეცემა და იმსხვრევა ყველა მოსალოდნელი უბედურება. ნეტარება ჩინელებს!

ჩინელ ყმაწვილებს ძალიან უყვართ ბურთის თამაშობა. ბურთი გაკეთებულია გველის ან თევზის ტყავისაგან და მორთულია სამი იხვის ბუმბულით: ბავშვები საკვირველის ხელოვნებით ისვრიან ბურთს წაღის ჭვინტით. დიდები არ იღებენ მონაწილეობას ამ გასართობში, მაგრამ დიდის ხალისით იკრიბებიან მოთამაშეებთან, დაფიქრებით ყურს უგდებენ მათს თამაშობას და ხანდახან ორიოდე სიტყვით უცხადებენ მოთამაშეთ თავიანთ მოწონებას თუ დაწუნებას.

ამ თამაშობის გავრცელება სრულებითაც არ არღვევს ზემოხსენებულ ნათქვამს იმის შესახებ, რომ ჩინელებს სძულთ ფიზიკური ვარჯიშობა, რადგანაც ბუმბულიანი ბურთები ძალიან სუბუქებია; ბავშვები ფეხის თითქმის უჩინარის მოძრაობით ადვილად ისვრიან მათ; ისინი სრულებით არ იტანჯენ ძალას და არ იღლებიან ამ თამაშობის დროს.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა ჭადრაკის თამაშობაზე. ჩინელები ამბობენ, რომ ჭადრაკი მოუგონია მათ იმპერატორს ვუ-ვანგს, 1120 წ. ქრისტეს შობის წინად; მაგრამ, ალბად, ისინი სცდებიან, რადგანაც ინდოეთში ჭადრაკი ცნობილი იყო უფრო ადრე და, უეჭველია, ჩინეთში იქიდან გადმოტანილ იქმნა.

ჩინური ჭადრაკის დაფა, მსგავსად ევროპიულისა, გაყოფილია 64 ნაწილად, მაგრამ ორივე ბანაკს შუა იხატება, ანუ ამოიჭრება ხოლმე «მდინარე», რაიცა არსებითად სცვლის თამაშობის მსვლელობას.

ჩინელი მეცნიერები ყველანი უკლებლივ თამაშობენ ჭადრაკს; რაც შეეხება უბრალო ხალხს, მას ეს თამაშობა არ უყვარს ისე, როგორც იაპონიის ხალხსა.

## ახალი ამბავი

✦ გუშინ, 12 ოქტომბერს, ყარსიდან ტფილისში დაბრუნდა კავკასიის მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი.

✦ გამოცხადდა განკარგულება ბათუმში „ნავთის ქალაქის“ დაარსების შესახებ.

✦ სამიწად-მოქმედო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვით, 1901 წ. რუსეთის სამეურნეო სასწავლებლით დასჭირდებათ 1,240,000 მ.

✦ ტფილისის ქალთა საავადმყოფო დაათვალიერეს ქალაქის სამკურნალო სასანიტარო ინსპექტორმა და ტეხნიკებმა. დათვალიერებამ აღმოაჩინა, რომ ბევრია

გადასაკეთებეთი. სასანიტარო ინსპექტორმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა ოქმი და სთხოვს გამგეობამ მიიღოს მხედველობაში და გასაკეთებელი გააკეთებინოს.

✦ 11 ოქტომბერს შესრულდა ვადა, როდესაც საზოგადოებას „ჰელიოს“-ს უნდა წარმოედგინა ქალაქის კასსაში დამატებითი გირაო 15 ათას მანეთისა და შემდეგ ხელშეკრულობა უნდა დადებულიყო ქალაქსა და ხსენებულ საზოგადოების შორის ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ. საზოგადოებამ გირაო არ წარმოადგინა, რის გამო მას ეკარგება 10 ათასი მანეთი წინად წარმოდგენილი და უფლება ქალაქის განათებისა.

✦ სამიწად-მოქმედო სამინისტროს განუმარტავს ქუთაისის ადმინისტრაციისათვის, რომ იმ მიწას, რომელშიაც მარგანეცი არისო, გარდასახადი უნდა დაედოს, როგორც უბრალო მიწას, რადგანაც მარგანეცზე უკვე არსებობს სხვა გარდასახადიო.

✦ ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის განკარგულების ძალით, ქიათურის საპოლიციო ნაწილის ბოქაულმა ჭიათურის მაგიერ უნდა იცხოვროს სოფ. მერჯვში.

✦ სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აგრონომი ს. ნ. ტიმოფეევი დანიშნა წარმომადგენლად ქუთაისის ადმინისტრაციის მხრით მომავალ საიუბილეო გამოფენის პროგრა მის შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად.

✦ წელს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ შედარებით წარსულ წლებთან ნაკლები შაბიამანი და გოგირდი გაჰყიდა, თუმცა მევენახეთა შორის ვენახის წამლობა ვრცელდება და წელს უფრო ბევრი წამალი უნდა დაეხარჯათ. ეს იმით აიხსნება, რომ სოფლის ვაჭრები ადრევე შეუდგნენ სამზადისს, იყიდეს შაბიამანი და გოგირდი და ჰყიდდნენ უფრო ხელსაყრელ ფასად, ვიდრე სამეურნეო საზოგადოება.

✦ ქუთაისის საგუბერნიო მმართველობას აღუძრავს კითხვა ჯუმათის (ოზურგეთის მაზრა) ბაზრობის ვადის ვალიდების შესახებ ერთ კვირიდან ორ კვირამდე და ბაზრობის დაწყების შესახებ 13 აგვისტოს, 12 სექტემბრის მაგიერ.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ კეთრით ავადმყოფნი უფასოდ იგზავნებოდნენ რკინის გზებით.

✦ ახალ-სენაკიდან „ნოვ. ობოზრ“-ს სწერენ, რომ 7 ოქტომბერს სოფ. ტამაკონში პოლიციის დარაჯთ მოუკლავთ გლეხი სიგუა, რომელმაც შარშან მაისში მოჰკლა კნ. ფალავა, დასჭრა მისი ქალიშვილი და შემდეგ გადავარდა. ბოროტ-მოქმედების მიზეზი ის იყო, რომ სიგუას არ მისცეს ქალი და მისი ძალით შერთვა უნდოდა.

✦ „ტფ. ფურცელს“ ბათუმიდან ატყობინებენ შემდეგს: 9 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზედ, კავკასიის რკინის გზის ლიანდაგზე იდგა სამი ქალი. მემანქანემ და კონდუქტორებმა შენიშნეს, რომ ქალები უგრძნობლად ეყარნენ. მატარებელი, დააყენეს მიუახლოვდნენ და დაინახეს სამი თათრის დედაკაცი, რომელთაგან: ერთი მკვდარი იყო, თავი ჰქონდა გატეხილი, მეორე საზარლად კვნესოდა ჭრილობისაგან და მხოლოდ მესამე იყო უვნებლად. დედაკაცები მატარებლით ბათუმში ჩამოიყვანეს. აქამდინ ვერ უთქმევინებიათ, თუ რა დაემართათ მათ გზაზედ.

# თეატრი

**ოპერა.** 11 ოქტომბერს სახაზინო თეატრში მეორეთ წარმოადგინეს „პიკოვაია დამა“ მუსიკა ჩაიკოვსკისა. ოპერამ კარგად ჩაიარა, თუ ბ. ბორისენკოს არ ვუსაყვედურებთ ხმის სისუსტეს ავადმყოფობისა გამო. ქ-ნ პაპაიანს პირველ მოქმედებაში ხმა ცოტა ჰლალატობდა, მაგრამ მეორეში და მეტადრე სცენაში არხთან შეუდარებელი იყო. ლენსკისამ და მიხაილოვსკისამაც კარგად შეასრულეს თავიანთი როლები პასტორალში, თუმცა უკეთაც შეიძლებოდა მღერაც და თამაშობაც. თითქო ლოდიც უკეთ მღეროდა, თუმცა ხმა მისი სრულიად შეუფერებელია ამ როლისათვის, და ამისათვის მშვენიერი არის. „მე თქვენ მიყვარხართ“ სუსტად ჩაიარა.

# საღამოს დეპეშები

**12 ოქტომბერი**

**ხანკოუ.** ჩინეთის იმპერატორი 7 ოქტომბერს მივიდა ტუკანში. სინანფუში მას მიელიან 13 ოქტომბერს.

**ლონდონი.** გაზ. „გლობ“-ში დაბეჭდილია ცნობა, ვითომც ინგლისის მთავრობას იჯარით აეღოს ცინვანდაოს ნავთ-სადგური. „რეიტ. სააგენტო“ იტყობინება, რომ აქაურ ოფიციალურ წრეებში ამის შესახებ არაფერი იციან.

**პეკინი.** პასუხი იმ ნოტაზე, რომელიც ლიხუნჩანგმა და ცინმა გაუგზავნეს დიპლომატიურ კორპუსს, ჯერ არ არის გაგზავნილი. ამბობენ, ელჩებს ჰსურთ ერთმანერთთან შეთანხმებით შეიმუშავონ მოლაპარაკების პირობები, წარუდგინონ ჩინეთის მთავრობას და მოსთხოვონ ამ პირობებზე დათანხმება. თუ ასე არ მოიქცნენ, მოლაპარაკება დიდხანს გასტანს.

მოვიდა დეპეშა ჩინეთის იმპერატორისაგან, რომელიც გამოუგზავნია 29 სექტემბერს ტუნკუანიდან (ყვითელი მდინარის ნაპირზეა). დეპეშაში არაფერია ნათქვამი, თუ იმპერატორის სახლობას განზრახვა აქვს პეკინში დაბრუნდეს. ამ ჟამად სასახლე იმყოფება ტუნფუციანისა და კანსუს ჯარების გავლენის ქვეშ და ამ უკანასკნელთა სასარგებლოა, რომ იმპერატორის სახლობა სინანფუში დარჩეს. რუსეთის ელჩი დღეს მოვა აქ.

რუსეთ-ჩინეთის ბანკმა დღეს მიიღო მოწერილობა განაგრძოს თავისი მოქმედება.

**ვენა.** ამტკიცებენ, რომ ავსტრო-უნგრეთიც შეუერთდა ინგლის-გერმანიის შეთანხმებას შესახებ ჩინეთის საქმეებისა.

**პარიჟი.** მინისტრთა რჩევაში გუშინ დაადგინეს 29 ოქტომბრამდე განაგრძონ გამოფენა.

**ელბერფელდი.** ქალაქის გამგეობაში სადღეგრძელოების თქმის დროს იმპერატორმა ვილჰელმმა და ბურგომისტრმა ერთმანერთს სიტყვები უთხრეს. ბურგომისტრის საპასუხო სიტყვა იმპერატორმა ამნაირად დააბოლოვა: „დასამტკიცებლად იმისა, რომ ჩემი მიზანი და უდიდესი საშრომი ჩემი ერის სასარგებლოდ არის, შეძლებისამებრ, დაცვა მშვიდობიანობისა, მე წარმოვიდგინე ამ დღეებში, როგორც ვფიქრობ, ახალი საბუთი, სახელდობრ, შეთანხმება გერმანიის ტომის უმძლავრესს სახელმწიფოსთან, რომელიც იმედი მაქვს, მისცემს შეძლებას ორივე ერებს თავისუფლადდა ძმურის გაჯიბრებით ეცადნენ მსოფლიო ბაზრების მოპოებას“.

**ლონდონი.** რობერტსის დეპეშა პრეტორიიდან 9 ოქტომბრის თარიღით იუწყება, რომ ფრენჩი კაროლინიდან მივიდა ბეტელში 7 ოქტომბერს; გზის უმეტეს ნაწილში, მეტადრე ერმელოს ახლო, მას ჰხვდებოდა წინააღმდეგობა; მისი რაზმიდან 3 ოქტომბერს მოკლულ იქმნენ ერთი აფიცერი და ხუთი ჯარის-კაცი, დაიჭრა სამი აფიცერი და 16 ჯარის-კაცი, 5 კაციც სრულებით დაიკარგა; 4 ოქტომბერს დასჭრეს 4 კაცი; 7-ს ოქტომბერს მოჰკლეს 1 და დასჭრეს 4 კაცი. სეტტლის კოლონამ მიატანა გოოპშტადს; გზაში მას თავს ესხმოდნენ ბურები. ერთი აფიცერი და 15 ჯარის-კაცი დაჭრილ იქმნენ. ზეერუსტთან მეტუენის კოლონიას თავს დაეცნენ, ოფიცერი და ჯარის-კაცი მოკლეს, ერთი ოფიცერი და 8 ჯარის-კაცი დასჭრეს. 6 ოქტომბერს, როცა ბარტონის რაზმი წავიდა სანოვაგის საშოვად ფრედერისტადტთან მათზედ მტერმა იერიში მიიტანა. ორი ოფიცერი ᲓᲐ 2 ჯარის კაცი ტყვედ წაიყვანეს, ორი ჯარის კაცი მოკლეს, ოთხიც დასჭრეს. 8 ოქტომბერს აბრტოს კიდევ ჰქონდა ბრძოლა ბურებთან, რომლებიც დიდის გაბედულობით მოქმედებდნენ. მოკლულია ერთი ოფიცერი.

მდინარე პინარზე ბურების ერთ რაზმს მოულოდნელად გარს შემოერტყნენ. ერთი ინგლისელია დაჭრილი, 18 ბური წაიყვანეს ტყვედ.

**პეტერბურგის ბირჟა 10 ოქტომბ.**

| | მყიდველი. | გამყიდველი | გაყიდული. |
|---|---|---|---|
| | მ ა | ნ ა | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | $96\frac{1}{8}$ |
| $4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | $99\frac{1}{4}$ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | $96\frac{7}{8}$ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | 335(?) | — | — |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | $282\frac{1}{2}$ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | $215\frac{1}{2}$ |
| $3\frac{1}{2}$%გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | $88\frac{1}{8}$ | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | $95\frac{1}{2}$ | — |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | $85\frac{3}{4}$ | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | $101\frac{1}{2}$ | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | 94 | — | — |
| 5%% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | — | $93\frac{3}{4}$ |
| $4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . | $85\frac{1}{2}$ | — | — |

დრ. რედ. **ᲐᲚ. ᲯᲐᲑᲐᲓᲐᲠᲘ**

Дозволено цензурою. Тифлисъ

# გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

ხორცი ძროხისა . . 1 გ. 8½ კ.
ხბოსი . . . . . » —15 კ.
» ცხვრისა . . . » — 8½ კ.
» ღორისა . . . 1 — 8 კ.
» გოჭისა . . » » — 8 კ.
» ღორის ზურგ-ლი სხვირებით . 1 » —10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს აის ფერი ბეჭედი ადევს, გოჭს—მწვანე, ღორს—ყვითელი).
შვრი ფურნისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
» » II » » » 3½ »
» » III » » » 3 »
იგივე თონისა I » » » 5 »
» » II » » » 4 »
» » III » » » 3½ »
ლავაში ყვ. მძ. I » » » 6 »
» » II » » » 4 »

---

**ტფილისის ბაზრები:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გაყიდვა | მიიღებიან: | | | კომერსიის: |
| ხორბალი სხვ. | ფუთი. | მ. | კ. | მ. კ. |
| | | 1 | 1 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | | 1 | 1 15 | კაპ. |
| ქერი . . . . . | | 1 | —მ. | —70 კ. |
| სიმინდი . . . . | | 1 | —65 | — |
| ფქვილი სოფლისა. | | 1 | 1 | —20— |
| » ფქვილ მდარე. | | 1 | 1 51 | —10 |
| გოშსისკე. . . . | | 1 | —50 | — |
| კარტოფილი. . . | | 1 | —55 | — |
| ხახვი . . . . . | | 1 | —30 | — |
| თივა . . . . . | | 1 | —25 | — |
| ჩალა. . . . . . | | 1 | —23 | — |

შეშა რეხილის 1 საჟენი სა საჟენიდან 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპ.-დან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი სახლური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე ხარი შესაბმელი, 40 მ., კამეჩი 60 მ., კამეჩი საკლავი 26 მ.-დან 34 მ.

---

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. — კ. | | № 4—6 მ 75 კ |
| № 1—8 » 25 » | | № 5—6 » 50 » |
| № 2—7 » 75 » | | № 6—6 » — » |
| № 3—7 » 25 » | | № 7—5 » 75 » |

სიმინდი (ნოვოროსიისში) 1 ფ. 54—41 კ. ქერი როსტოვში 53 კ. 53 კ.-მდე, ნოვოროსიისში 54 კ. 55 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. მაქარი ოჯე ფუთი 5 მან. 90 კ. „ ფქვილი „ 5 „ »

მატყლი აისხაური, თეთრი ფ. კასული 6 მ. 20 კ. 8მ. 20 კ., მატყლი 10% ნატყლი—ადგილობრივი—3 მ. 45 კ.—4 მ. 15 კ., კარგხვლი—მ. 8 მ. კ. აისხაის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო—მ. — კ.-მდე.

---

**სავაჭრო-ფოსტები**

ქალაქის სახელმწიფო საჭურჭლე, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცხელი ოთახში—60 მ. თვ.

ქალაქის საჭურჭლე. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რწუვა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევა და წამლობა უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნიშვილი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბარისა, გარეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირზოევი.

**ჩუღურეთისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. გასიევი.

**ხარფუხისა**, კორონცოვის ქუჩა, სახლი იელიკეროვისა. ექიმი ტერ-ასტვაცრეტოვი.

**ოგალების სამკურნალო**, კლიასტრების ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარასიძე.

**ქალაქის სავადმყოფო სულიერად ავადმყოფთათვის.** უფასოდ—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და გუბოვის სახლში. ექიმი მ. ბედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის სავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ ს...ით ავადმყოფთათვის უფასო სა[illegible]. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის [illegible] ღამე თავ-შესაფარი სახლე[illegible]:

1) კო[illegible] ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი [illegible]იქაანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

---

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ.

**მატარებელი № 8** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე —საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ., სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

სააგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს. საღ.

სააგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 შორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 60 ჭიათურიდან შორაპანში გადის 10 ს. 10. წ. საღ.; შორაპანში დი სღამ. 1 ს.

სააგარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

---

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

## ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ამით აცხადებს რომ ის იჯარით გასცემს ქალაქის ოთხ მაღაზიას, ბაზრის ქუჩის ბოლოს, ალექსანდროვის ბაღთან.

ვისაც სურს იჯარით აიღოს ეს მაღაზიები, უნდა განუცხადოს თავისი პირობები ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში. ნ. (3—3)

---

სანერგე ამერიკული-ვაზისა

## ᲑᲐᲦᲘ „ᲧᲑᲣᲠᲣᲚᲘ“

სოფ. დიმი, ქუთაისის მაზრა.

გაიყიდება შემოდგომაზედ ამა 1900 წლისა ასი ათასი დამყნილი ამერიკული

# ᲕᲐᲖᲘ

ადგილობრივი ჯიშის., სახელდობრ: საფერე, ოცხანური საფერე, კრახუნა, ცოლიკოური, მწვანე, მაღლარი, (ანდასეული) და ევროპიული ჯიშისა: კაბერნე, სემილიონი, პინო და უმეტეს ასი სხვა-და-სხვა ჯიშის სტოლის ღვინოებისა და ამერიკული ნაყოფის მომცემ ვაზებისა. აქვე შეიძლება დაკვეთა სხვა-და-სხვა ამერიკულ და ევროპიულ სანამყენოსი, აგრეთვე დამყნილი და მირეული ვაზებისა 1901 წლისათვის.

წერილების და დეპეშების ადრესი:—ქუთაისი, ვ. ტიებო. (12—4)

---

## ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

ანუ

**ᲥᲠᲘᲡᲢᲝᲛᲐᲗᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ**

შედგენილი

ალექსანდრე ხუროძისაგან

მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

გამომც. ზ. ჭიჭინაძე

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Октября 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.